ახალი ხარაგაული

346 (5) 2 მარტი, 2017 წ

ხევის საბავშვო ბაღში ახალი ჯგუფი გაიხსნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საბავშვო ბაღს კიდევ ერთი სამწლიანთა ჯგუფი დაემატა. ჯგუფი საზეიმო ვითარებაში ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კობა ლურსმანაშვილმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, ბაღების გაერთიანების დირექტორმა, მამუკა ჭიპაშვილმა და გამგებლის წარმომადგენელმა, გელა კოპაძემ, გახსნეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პატარებს საჩუქრად სათამაშოები გადასცეს და საწავლის დაწყება მიულოცეს. ხევის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ამჟამად 42 აღსაზრდელია. სარემონტო სამუშაოები ბაღში ახალი ჯგუფისთვის 2016 წელს რეგიონული განვითარების ფონდმა დააფინანსა, მიმდინარე წელს კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა ინვენტარისა და სხვა საჭირო ნივთების შეძენა. შენობა თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოეწყო და აღიჭურვა.

„ხელისუფლების უმთავრესი მიზანი მომავალ თაობაზე ზრუნვაა. დღევანდელი ჩვენი სიხარული და საზეიმო განწყობაც ამის შედეგია“. - დასძინა მაჟორიტარმა დეპუტატმა, კობა ლურსმანაშვილმა, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ბაღების მშენებლობა კვლავ გაგრძელდება.

ახალი ჯგუფის გახსნა პედაგოგებსა და აღსაზრდელებს მიულოცა მუნიციპალიტეტის გამგებელმა. ნიკოლოზ თოფურიძე მიიჩნევს, რომ არც ერთი მოზარდი საბავშვო ბაღის მიღმა არ უნდა დარჩეს და ამისთვის ადგილობრივი თვითმმართველობა ყველაფერს გააკეთებს.

„მისასალმებელია, რომ ეს ულამაზესი სოფელი ბავშვთა კონტინგენტის სიმრავლით გამოირჩევა და ბაგა-ბაღში ახალი ჯგუფის დამატება მოხდა. ჩვენ არ ვჩერდებით, ვაგრძელებთ მშენებლობას და ხარაგაულს კიდევ ძალიან ბევრ ლამაზ ბაღს ვაჩუქებთ.“ - დასძინა გამგებელმა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ხარაგაულში რვა ახალი საბავშვო ბაღი აშენდა. უახლოეს მომავალში სკოლამდელი დაწესებულება ღორეშასა და წიფაში გაიხსნება. დაგეგმილია ასევე ახალი ბაღების აშენება ნადაბურსა და საღანძილეში.

ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარედ ნონა მაჭავარიანი აირჩა

26 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა, რომელზეც წევრებმა საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე აირჩიეს. ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით, საკრებულოს თავმჯდომარედ დაბის N2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ნონა მაჭავარიანი აირჩა, ხოლო თავმჯდომარის მოადგილეები დაბის N2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე კესო შარიქაძე და მარელისის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ავთო მაღრაძე გახდნენ. რაც შეეხება იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, ამ პოსტს ვარძიის საჯარო სკოლის მოსწავლე თამარ ოკრიბელაშვილი უხელმძღვანელებს. ახალგაზრდულ საკრებულოში შეიქმნება ასევე სხვა კომისიებიც, რომლებიც შეესაბამება ადგილობრივ საკრებულოში არსებულ კომისიებს. მათი დაკომპლექტება შემდეგ სხდომაზე მოხდება.

ახალგაზრდული საკრებულოს არჩევას ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე და დეპუტატები დაესწრნენ.

კობა ლურსმანაშვილმა ახალგაზრდებს წარმატებები უსურვა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში სრული მხარდაჭერა აღუთქვა. დეპუტატმა ახალგაზრდული საკრებულოს წევრებს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხარაგაულში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებიც გააცნო და სამომავლო გეგმებზეც ესაუბრა.

„საკრებულოში თქვენი მოღვაწეობა, არა მარტო თქვენთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება.იმედი მაქვს, რომ თქვენგან ბევრ საინტერესო ინიციატივას მოვისმენ, მჯერა, ობიექტურად გააჟღერებთ პრობლემატურ თემებს, რომელთა მოგვარებასაც ყველა ერთად შევძლებთ.“ - აღნიშნა ლურსმანაშვილმა.

მანანა ბარბაქაძემ ახალგაზრდებს საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები გააცნო და დასძინა, რომ პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ლიდერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათთვის თვითრეალიზებაში ხელის შეწყობაა. საკრებულოს თავმჯდომარემ ახლად არჩეულ წევრებს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მეტი ჩართულობისკენ მოუწოდა.

ახალგაზრდული საკრებულო 25 წევრით დაკომპლექტდა და მასში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების X და XI კლასების მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები არიან გაწევრიანებული.

სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრის ხელმძღვანელი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა

სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრის წარმომადგენლებმა ხარაგაულში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრა საინფორმაციო ხასიათის გახლდათ და მას მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, გამგებლის მოადგილე, არჩილ მაღრაძე, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი, ოთარ ლურსმანაშვილი და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მხარეებმა სოციალური დახმარების სფეროში არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს. იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსმა, ნინო ჭიღლაძემ, დეტალურად განიხილა დეკლარაციის შევსების წესი და ოჯახის სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ აგენტის სუბიექტური შეფასება ქულის დათვლაში აღარ მონაწილეობს და მოსაზრება, რომ სოციალურმა მუშაკმა არ გაითვალისწინა ოჯახის მძიმე მდგომარეობა, მცდარია. მისივე თქმით, აგენტს დეკლარაციაში შეაქვს ის ინფორმაცია, რასაც ოჯახის წევრები ეუბნებიან.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოქალაქეებს ხშირად უჩნდებათ არასამართლიანობის განცდა, რადგან, ზოგ შემთხვევაში, გაცილებით უკეთესი ეკონომიური შესაძლებლობის მქონე ოჯახს ენიშნება ფულადი დახმარება და ვისაც უჭირს - არა. გამგებელი მიიჩნევს, რომ ეს შეგნებულად კეთდება და ამას ხალხიც ხვდება. ნიკოლოზ თოფურიძემ, სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს რამდენიმე ოჯახის დეკლარაციის გადახედვა მოსთხოვა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, მიიჩნევს, რომ პროგრამაში გარკვეული ხარვეზებია, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. მისივე თქმით, ახალ მეთოდოლოგიას ისევ ძველი სჯობდა, რადგან უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს, წარმომადგენლის ან უფლებამოსილი პირის რეკომენდაციით ხშირ შემთხვევაში სოციალური დახმარება ენიშნებოდა. იგი ასევე არამართებულად მიიჩნევს დეკლარაციაში კომუნალური ხარჯების, დაუმუშავებელი მიწის ფართისა და საცხოვრებლად გამოუსადეგარი შენობის მითითებას.

ნინო ჭიღლაძის განცხადებით, თუ ოჯახში შრომისუნარიანი წევრია, იშვიათად გაიცემა ფულადი დახმარება. რაც შეეხება მიწის ფართობს, რამდენსაც ფლობს ოჯახი, დეკლარაციაში მისი მითითება აუცილებელია. სამხარეო ცენტრის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ის პირები, რომლებსაც არ შეუძლიათ ფიზიკური მუშაობა, უნდა არსებობდეს გამონაკლისი და დახმარებას უნდა იღებდნენ. იგი ფიქრობს, რომ ამ საკითხის ფორმულირება შესაძლებელია, მაგრამ ეს მთავრობის დონეზე უნდა გადაწყდეს.

მოლითის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი, სპარტაკ ლაცაბიძე, იმ ხანდაზმული ადამიანების ბედით დაინტერესდა, რომლებიც მკაცრი ზამთრის გამო ნათესავებთან არიან და გადამოწმების პროცესში სოციალურ აგენტს საკუთარ სახლში არ დახვდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით ნინო ჭიღლაძემ განმარტა, რომ ასეთი პიროვნებას ფულადი დახმარება არ მოეხსნება, მაგრამ თუ სამი თვის განმავლობაში ადგილზე არ დაბრუნდებიან, შესაბამისი რეაგირება მოხდება.

სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრის წარმომადგენლებმა იმედი გამოთქვეს,რომ უახლოეს მომავალში პროგრამაში ცვლილება განხორციელდება და ხარვეზები, რომლებზეც მოქალაქეები საუბრობენ, გამოსწორდება.

მუნიციპალიტეტის გამგეებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, მარიამ წვერავას 100 წლის იუბილე მიულოცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდარში მცხოვრებ მარიამ წვერავას 100 წელი შეუსრულდა. დაბადების დღე უხუცეს ქალბატონს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა, ნანა კიკნაძემ, ხიდრის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ნონა ზურაბიანმა და გამგებლის წარმომადგენელმა, ბადრი ბერაძემ, პირადად მიულოცეს. გამგებელმა საუკუნის ქალბატონს დიდხანს სიცოცხლე უსურვა და საჩუქრად ყვავილების თაიგული და ტკბილეული გადასცა. გარდა ამისა, ქალბატონ მარიამს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ პირად ანგარიშზე 500 ლარი ჩაურიცხა.

მარიამ წვერავას ერთი შვილი, სამი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი ჰყავს.

ისლარსისა და ჯაფარაულის ბაგიფიცირება იწყება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ისლარსა და ჯაფარაულში, გაზიფიცირებისათვის საჭირო სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ნიკოლოზ თოფურიძეს, გაზსადენის მშენებლობის დაწყების ნებართვისთვის შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა, ირაკლი ბენდელიანმა, წერილობით მიმართა.

გამგებლის ინფორმაციით, „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში“ ნებართვის გაცემის შესახებ წერილი უკვე გაგზავნილია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, „ცაშეკრულას“ კანიონი მოინახულა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, და ტურიზმის ცენტრის დირექტორმა, ბერიკა თურმანიძემ, „ცაშეკრულას“ კანიონი დაათვალიერეს.

არჩილ მაღრაძე არ გამორიცხავს, რომ მომავალში ხარაგაულის ხელმძღვანელმა პირებმა ფონდების წინაშე კანიონის მოწესრიგების საკითხი დააყენონ.

ბერიკა თურმანიძე ამბობს, რომ ტურიზმის ცენტრისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს „ცაშეკრულას“ კანიონის მოწესრიგება და მისი ტურისტულ მარშრუტად მოწყობა წარმოადგენს.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

რა პრობლემებია სოფლებში? -არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევა

არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ პროექტის „სტუდენტური კონკურსი-სტუდენტები თვითმმართველობისთვის“ ფარგლებში ხარაგაულის სამ სოფელში(ბაზალეთი, ღორეშა, კიცხი) მოსახლეობის პრობლემატურ საკითხებზე კვლევა ჩატარდა. კვლევის შედეგები სტუდენტებმა ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებს გააცნეს და თითოეული საკითხი დეტალურად განიხილეს. მათი განცხადებით, გზა, წყალი, ტრანსპორტი-ის ძირითადი ჩამონათვალია, რომლებიც სამივე სოფლის მოსახლეობას აწუხებს.სოფელ ღორეშაში არ ფუნქციონირებს ჯერ კიდევ წინა წელს აშენებული საბავშვო ბაღი. ადგილობრივები უმოქმედობაში ადანაშაულებენ საპატრულო პოლიციას. მათი თქმით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ხშირად არის გაუთავებელი სმა, ურთიერთისადმი უწმაწური სიტყვებით მიმართვა. ასეთ უზნეობაზე პოლიცია არ რეაგირებს. აქვე აღინიშნა, რომ სოფელში, გასულ წლებში იყო იარაღის უკანონოდ ხმარებისა და თვითნებობის სხვა ფაქტები. ღორეშელი მოსახლეობა თავს დაცულად არ გრძნობს.

მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარაგაულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლები საკმაოდ კვალიფიციურად მუშაობენ და ასეთ ფაქტებს ადგილი რომ ჰქონდეს, რეაგირების გარეშე არ დატოვებდნენ.

რაც შეეხება საბავშვო ბაღს, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის, მალხაზ ფხალაძის, განმარტებით, ღორეშის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის ნაწილი შეძენილია და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება გაზაფხულზე გაიხსნება. ფხალაძე გზების თემასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ღორეშაში გასულ წელს ხუთკილომეტრიანი ცენტრალური გზა მობეტონდა. იგი ფიქრობს, რომ 2020 წლისთვის მუნიციპალიტეტში გზების პრობლემა აღარ იქნება.

წყლის, შიდა გზების, ნაგვის ურნებისა და ტრანსპორტის პრობლემებზე საუბრობს კიცხის მოსახლეობაც. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, მოქალაქეებს გაუმართავი ტრანსპორტით მგზავრობა საფრთხეს უქმნის.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, ჯაბა ბერაძის, განმარტებით, მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს გაუმართავი ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების მოძრაობის აკრძალვას, რადგან ამის საშუალებას კანონი არ იძლევა.

ბაზალეთის მოსახლეობა ძირითადად ნაგვის ურნების დამატებას ითხოვს. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, ვლადიმერ გელაშვილის, ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა დამატებით ორი ნაგავმზიდი და 130 ურნა შეიძინა, რომლებიც საჭიროების მიხედვით გადანაწილდება.

შეხვედრაზე სოციალური დახმარების შეწყვეტის თემაზეც ისაუბრეს. სამწუხაროდ ამ საკითხის მოგვარებაში ადგილობრივი თვითმმართველობა ვერ ერევა, რადგან იგი სოციალური მომსახურების სააგენტოს პრეროგატივაა.

დასასრულს, ჯგუფის ლიდერმა, ნინო გვასალიამ, აღნიშნა, რომ მათი ინიციატივით, ერთ-ერთ სოფელში დასახლების საერთო კრება ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობით ჩატარდება.

„საბოლოოდ, განათლების სამინისტროს გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრთან ერთად გავმართავთ პრესკონფერენციას, განვიხილავთ ნაშრომებს და ვისაუბრებთ საკვანძო პრობლემებზე. გამოვლინდება გამარჯვებული ჯგუფი, რომელიც გერმანიასა და პოლონეთში გაემგზავრება“. - დასძინა გვასალიამ.

ნიკოლოზ თოფურიძემ მადლობა გადაუხადა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს და პროექტში გამარჯვება უსურვა. გამგებელმა იმედი გამოთქვა, რომ მათი მუშაობა წარმატებული იქნება.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში „გენდერული თანასწორობის საბჭო“ იქმნება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში „გენდერული თანასწორობის საბჭო“ იქმნება. ამის შესახებ დეპუტატებს საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, აცნობა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება გააცნო.

საბჭოს ძირითადი ფუნქციები საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული საქმიანობის წარმართვა, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების, პროექტების ანალიზის განხორციელება და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება იქნება. ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის დაიგეგმება ღონისძიებები და კომპეტენციის ფარგლებში მოხდება გენდერული თანასწორობის დარღვევაზე რეაგირება.

მანანა ბარბაქაძის თქმით, საბჭოს მიზანია, ქალთა უფლებების გაძლიერება და გადაწყვეტილებების მიღებაში მათ თანამონაწილეობა.

გენდერული თანასწორობის საბჭო უახლოეს მომავალში დაკომპლექტდება.

დაუფინანსებს თუ არა მუნიციპალიტეტი სკოლის პედაგოგებს სამგზავრო ხარჯებს

27 თებერვალს საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა. სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ, მარინე ვეფხვაძემ, კოლეგებს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონის ამოქმედებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წერილი გააცნო.

აღნიშნული კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, სხვა იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, აგრეთვე, სკოლამდელი აღზრდისა და დაფინანსების პრინციპებს, რომლებიც ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებასა და დაცვას. კანონი ძალაში 2017 წლის პირველი აპრილიდან შედის. საკრებულომ, მისი ამოქმედებიდან, 6 თვის ვადაში, უნდა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმების შემუშავება მათ ტერიტორიაზე მოქმედი დაწესებულებების მიერ შესაბამის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად.

კომისიამ დაკისრებული ვალდებულების ეფექტურად შესასრულებლად გამგეობასთან ერთად სამუშაო ჯგუფის შექმნა გადაწყვიტა.

გარდა ამისა, კომისიის წევრები გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიმდინარე წლის სამუშაო გეგმას გაეცნენ, რომელიც ამავე სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ, წარადგინა.

სხდომაზე საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის მიმართვაც განიხილეს, რომლის მიზანი ადგილობრივი ბიუჯეტიდან პედაგოგთა სამგზავრო ხარჯების ანაზღაურება გახლდათ.

როგორც ლალი სებისკვერაძე, განმარტავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ასამდე პედაგოგს უწევს ტრანსპორტით გადაადგილება, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ თუკი ადგილობრივ ბიუჯეტში ამის რესურსი იქნება, ამ ინიციატივას მხარს აუცილებლად დაუჭერენ. დეპუტატები საკითხის დეტალურად გავლას გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში გეგმავენ.

თამარ მაღრაძე

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის ახალი წესი დამტკიცდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ, მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის ახალი წესი მტკიცდება. ამის შესახებ ინფორმაცია ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის განყოფილების უფროსმა, ალექსანდრე ტაბატაძემ, 20 თებერვალს გამართულ ბიუროს სხდომაზე გააკეთა. ტაბატაძემ, დეტალურად განიხილა მიმდინარე წელს განსახორციელებელი სოციალური პროგრამები და ყურადღება იმ პაკეტებზე გაამახვილა, რომლებმაც ცვლილებები განიცადა. ამიერიდან 100 წელს მიღწეული მოქალაქეები ერთჯერად ფულად დახმარებას 500 ლარის ოდენობით მიიღებენ. ას წელს გადაცილებულები ყოველწლიურად 200 ლარს. ცვლილება შევიდა სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფინანსურ დახმარებაშიც. პირველი კატეგორია 1000-დან 1500-ლარამდე მიიღებს, მეორე კატეგორია 500-დან – 1000-მდე, ხოლო მესამე კატეგორიას 200 -დან 500-ლარამდე გაეწევათ დახმარება. რაც შეეხება ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, თუ პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობა სიცოცხლისათვის საშიშს წარმოადგენს, იგი შეიძლება განმეორებით დაფინანსდეს. მორიგი სოციალური პაკეტი, რაც აღნიშნულ პროგრამას დაემატა, ხარაგაულის საავადმყოფოს მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას ითვალისწინებს. საჭიროების ფარგლებში პაციენტის ხარჯები ადგილობრივი ბიუჯეტიდან, არაუმეტეს 700 ლარის ოდენობით, დაფინანსდება.

ვარლამ ჭიპაშვილმა სურვილი გამოთქვა, რაიმე სოციალური პროგრამა დიაბეტით დაავადებულთათვის განხორციელდეს.

„სახელმწიფო მხოლოდ ინსულინზე დამოკიდებულ პიროვნებებს უწევს დახმარებას. დანარჩენებს კი წამლის შეძენა საკუთარი სახსრებით უწევთ, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. კარგი იქნება, რაიმე სახის დამხარებას მათაც თუ გავუწევთ,“ - განმარტა ჭიპაშვილმა.

ვრცლად სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით დეპუტატები 6 მარტს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელებენ.

თამარ მაღრაძე

რამდენი ლარის შესყიდვა განახორციელა ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა გასულ წელს?

20 თებერვალს გამართულ ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2016 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში მოისმინეს.საკითხი მათ სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა, ზურაბ იჩქიტიძემ, გააცნო.

როგორც ანგარიშიდან ირკვევა მუნიციპალიტეტმა დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის საფუძველზე, სამი სახის სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა: საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესრულების. მომზადდა 230 ხელშეკრულება, რომლის ჯამური ღირებულება 3 335 802.78 ლარს შეადგენს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, დაინტერესდა, ხელშეკრულებების გაფორმებისას იყო თუ არა ის შენიშვნები გათვალისწინებული, რაზეც მათ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიუთითა. ჭიპაშვილმა ასევე იკითხა, გატარდა თუ არა რაიმე ღონისძიება იმ კომპანიის მიმართ, რომელმაც გედსამანიის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები არაჯეროვნად შეასრულა.

ზურაბ იჩქიტიძის განმარტებით, „დალა 73-ს“, რომელიც აღნიშნულ პროექტს ახორციელებდა, ჯარიმის სახით 152 ათასი ლარი დაეკისრა, რაც შეეხება სახელწიფო აუდიტის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს, იჩქიტიძე ამბობს, რომ შენიშვნების გათვალისწინება მაქსიმალურად მოხდა.

უბისის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერი მოეწყობა

უბისის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა იგეგმება. პროექტი არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ (ხელმძღვანელი ხათუნა მანჯავიძე) ინიციატივითა და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ დაფინანსებით განხორციელდება. სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება და მისი სავარაუდო ღირებულება 10 000 დოლარი იქნება.

ორგანიზაციამ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (სოფელ უბისაში) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებელს უკვე მიმართა. აღნიშნული საკითხის შესახებ საკრებულოს დეპუტატები გადაწყვეტილებას 6 მარტს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე მიიღებენ.

დედობრივი სიყვარული ადამიანურ გრძნობათა შორის ყველაზე წმინდაა

მაია ნანიტაშვილი შვილებთან ერთად

„დედის დღე“ მსოფლიოს 46- ზე მეტ ქვეყანაში სხვადასხვა დროს და სხვადასხვაგვარად აღინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულ დღესასწაულად ითვლება, მას ჯერ კიდევ ძველი ბერძნები და რომაელებიც ზეიმობდნენ. საქართველოში „დედის დღის“ აღნიშვნა წელიწადის იმ დროს ემთხვევა, როცა ბუნება ცოცხლდება. დედა ხომ სიცოცხლის მიმნიჭებელი, სიკეთის მთესველი, გაზაფხულივით მშვენიერი და თბილია.

დედაშვილობის საიდუმლო არაერთი ხელოვანის შთაგონების წყაროდ ქცეულა. ადამიანურ გრძნობათა შორის დედობრივი სიყვარული ყველაზე ძლიერი, ყველაზე გულწრფელი, წმინდა და სათუთია.

დედა და დედობა უპირველეს ღვთიურ საქმედ არის აღიარებული. იყო დედა, მით უმეტეს მრავალშვილიანი, ეს უკვე გმირობაა! ამბობენ, ბევრი შვილი მეტი დარდი და პრობლემებიაო, მაგრამ ადამიანისთვის იმაზე დიდი ბედნიერება ნამდვილად არაფერია, როცა მშობელი ხდება.

ჩვენს რეალობაში იყო მრავალშვილიანი დედა, წარმატებული ქალი და ოჯახსაც არ მოაკლო ყურადღება,ურთულესია. პროფესიული საქმიანობის შეთავსება ოჯახთან არც ისე იოლია. წარმატებული კარიერა უამრავ დროსა და ენერგიას მოითხოვს, ოჯახს კი მზრუნველობა და ყურადღება აკლდება. ქალს სჭირდება მობილიზება, ძლიერი ნებისყოფა და ბევრი ენერგია,რათა სათანადოდ მოახერხოს საკუთარი თავის რეალიზება, როგორც კარიერაში, ასევე ოჯახშიც.

ხარაგაულში ბევრი მრავალშვილიანი დედაა, რომლებსაც არაჩვეულებრივად აქვთ შეთავსებული ოჯახთან პროფესიული საქმიანობაც და, ბევრი სირთულის მიუხედავად, მუდამ გაღიმებულები და ბედნიერებით აღსავსენი არიან.

მაია ნანიტაშვილი, ოთხი შვილის დედა, ხარაგაულის N1 საბავშვო ბაღის აღმზრდელი: „ბავშვები ძალიან მიყვარს, მაგრამ არასდროს მიფიქრია ოთხი შვილი თუ მეყოლებოდა. შვილები სიმდიდრეა და ვთვლი, რომ ქალისთვის ამაზე დიდი იმედი და სიძლიერე არ არსებობს. ბედნიერი დედა ვარ, რადგან საკმაოდ წარმატებული და ყოჩაღი ბავშვები მყავს. მარიამი 12 წლისაა, ნიკოლოზი-10-ის, ლაზარე-7-ის და პატარა ანა- 6 წლის. ოთხივე წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში სწავლობს, ზრუნავენ ერთმანეთზე და თუ რაიმე აქვთ, თანაბრად ინაწილებენ. ხშირად ვეუბნები, რომ ურთიერთობებში სიყვარული და პატივისცემაა მთავარი. ვცდილობ, პასუხისმგებლობის გრძნობა ბავშვობიდანვე ჰქონდეთ, რადგან ისე ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევენ.

ქალი იმისთვის იბადება, რომ დედა გახდეს. მართალია, ტვირთი და პასუხისმგებლობაც დიდია, მაგრამ მათგან მონიჭებული სიხარული და ბედნიერება ყველაფერს გადაწონის. მამის როლი მნიშვნელოვანია შვილების აღზრდაში. განსაკუთრებით, როცა ეს ბიჭებს ეხება. ჩემი მეუღლე, პაატა ფცქიალაძე, ძალიან ყურადღებიანი და მზრუნველი მამაა. მადლობა ღმერთს, რომ ასეთი ადამიანი მყავს გვერდით. მისი დახმარების გარეშე ოთხი შვილის აღზრდა და სამსახურის შეთავსება ძალიან გამიჭირდებოდა. დილით ადრე მიწევს სახლიდან გამოსვლა, ბავშვებზე ამ დროს პაატა ზრუნავს. საოჯახო საქმეებში ყველა თანაბრად ვართ ჩართული და ერთმანეთს ვუმსუბუქებთ შრომას. ახალგაზრდა დედებს ვურჩევ, მატერიალური მდგომარეობის გამო არასოდეს თქვან უარი შვილის გაჩენაზე. არ შეუშინდნენ პრობლემებს, რადგან დედობა ღვთისგან ბოძებული დიდი ბედნიერებაა და ღმერთი ყველაფერს შეაძლებინებთ.“

ლია კალანდაძე, ოთხი შვილის დედა, ა(ა)იპ ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის წამყვანი სპეციალისტი: „ოჯახის შესაქმნელად სიყვარულია მთავარი, მისი სიმტკიცისათვის კი შვილი და შვილთა სიმრავლე. ბავშვების აღზრდა და მათთან ურთიერთობა დიდი ბედნიერებაა. ოთხი შვილი მყავს, უფროსი შოთა 15 წლისაა, სანდრო -13 ის, ტყუპი გოგონები კი- 6 წლის. ჩემს მეუღლეს, ბესო ჭიპაშვილს, ძალიან უნდოდა ოთხი შვილი გვყოლოდა და მართლაც ასე მოხდა. მესამე შვილს რომ ველოდით და ორი გოგო დაიბადა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. რასაც გულით ითხოვს ადამიანი, ის აუცილებლად ეძლევა უფლისგან, ამის ღრმად მწამს. განსაკუთრებულია

ლია კალანდაძე შვილებთან ერთად

ტყუპი შვილი, ორი აბსოლუტურად ერთნაირი ადამიანი, გარეგნობით, ხასიათით, თვისებებით. ამ დროს ორმაგი ძალისხმევაა საჭირო. ყველაფერი ერთნაირი უნდათ, ერთად ჭამა, ჩაცმა, წასვლა.... ერთხელ ასეთი შემთხვევა გვქონდა, ღრმა ძილში მარიამმა დაიწყო ლოცვა „მამაო ჩვენო“ და პირჯვრის გადასახვით ნინომ დაასრულა. ტყუპები პატრიარქის ნათლულები არიან, რაც ძალიან გვახარებს. ერთდროულად ორი ბავშვის გაზრდა ძნელია, მაგრამ ყველაფერს ვახერხებდი, ღმერთი მაძლევდა ძალას. რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვათავსებ ერთმანეთთან სოფელს, ოჯახს და სამსახურს, ეს ჩემი მეუღლის და ბიჭების დამსახურებაა. ბედნიერებაა როდესაც ხარ მრავალშვილიანი დედა, ამ სიხარულს ვერაფერი შეედრება. მათზე ზრუნვისას პრობლემებზე ფიქრის დროც აღარ მრჩება. მთავარია, ჯანმრთელები იყვნენ, ეკონომიური სირთულეები არ გვაშინებს. ახალგაზრდებს ვუსურვებ მტკიცე სიყვარულსა და შვილთა სიმრავლეს.“

ძვირფასო ქალბატონებო, ყველა დედას გილოცავთ „დედის დღეს“. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და გამძლეობას გისურვებთ. მუდამ გეხაროთ და გეამაყოთ თქვენი შვილებით!

ლელა გუგულაშვილი

ემპერა, პოკვერები ლომებად დაიზრდებიან...

ეს წერილი გასული წლის 18 ნოემბერს უნდა დაწერილიყო, მაგრამ მიზეზთა გამო ერთი წლის შემდეგ იბეჭდება. ისე კი ვინატრებ, სამომავლოდ ამ კარგი კაცისადმი მიძღვნილმა ჩემმა წერილმა ისე „დააგვიანოს,“ რომ მე, როგორც კორესპონდენტი, ასი წლის იუბილეზე კვლავ ვეახლო ჩემს რესპონდენტს - საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ღირსების ორდენის კავალერს, ხარაგაულის საპატიო მოქალაქეს და, რაც უმთავრესია, საუკეთესო ოჯახის თავკაცს, ბატონ ანზორ მაღრაძეს.

როცა „მინის ყივილის“ მსგავსად „საშველს, რომ აღარ გაძლევს“ შენი „პროფესიის ყივილი,“ მოულოდნელად თავს დატეხილი ავადმყოფობით შეპყრობილი, სპორტული ჟინით შესძახებ: „მე იგივე ვარ მარად და მარად !“ და კვლავ მიეახლები შენს უსაყვარლეს საქმეს, რომელშიც შენი თავი იპოვე, რომელსაც მთელი შეგნებული ცხოვრება მიუძღვენი...

და ქედუხრელი მწვრთნელი, ანზორ მაღრაძე, დღესაც კვლავ განარძობს თავისუფალი ჭიდაობის ჯადოსნური ილეთების დაუფლებით გატაცებულ მოზარდთა ფიზიკურ და სულიერ წრთობას...

...1966 წლის 18 თებერვალი...

51 წელი გასულა ამ თარიღიდან, მაგრამ რა დაავიწყებს ანზორ მაღრაძეს ამ ღირსსახსოვარ დღეს, რომელიც გარკვეულად ათვლის წერტილია არა მარტო ანზორ მაღრაძის, არამედ ხარაგაულელთა სპორტულ ისტორიაშიც, რადგან სწორედ ბატონი ანზორის ძალისხმევით დაფუძნდა ხარაგაულში თავისუფალი ჭიდაობის სექცია. იმჟამად სპორტკომიტეტს აწ განსვენებული ავთანდილ მაჭავარიანი ხელმძღვანელობდა. სინანულით იგონებს ვეტერანი მწვრთნელი ადრე წასულ ამ პიროვნებას, იმ სიხარულს, რომლითაც განიმსჭვალა ავთანდილი, როცა მისი ასეთი სასიკეთო ინიციატივა შეიტყო. თუმცა იმჯერად ხარაგაულს სპორტული სკოლის შენობაც არ ჰქონდა და თვით მწვრთნელის სახელფასო ანაზღაურება მხოლოდ 25 მანეთი იყო.

ამაგდარი სიამაყით გაჰყურებს გარდასულ წლებს და ესიყვარულება იმ სპორტსმენებს, რომელთაც ასახელეს თავიანთი ქართველობა, თავანთი ხარაგაული. აი ისინიც: სსრკ კავშირის ჩემპიონები: ნოდარ ებანოიძე, ვახტანგ მაღრაძე, ვახტანგ ინასარიძე, გია ვეფხვაძე, ევროპის ჩემპიონი ლაშა გიგაშვილი...

იგონებს იმ დიდ წარმატებას, რომელიც ხარაგაულის გუნდს ჰქონდა 2009 წელს, როცა გუნდურ პირველობაში ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილო ოსეთის გუნდებთან შეჯიბრებაში 9 ხარაგაულელი მონაწილეობდა და მათგან ხუთი გახდა ჩემპიონი. ესენი არიან: სულიკო ცაბაძე, რევაზ შერგელაშვილი, ზურაბ ორთოიძე, მამუკა გურგენიძე, რეზო ავალიშვილი. გაზრდილი ჰყავს სამი მსოფლიო ჩემპიონი: ბორის გოგნაძე (თავისუფალი ჭიდაობა), თედო ებანოიძე (თავისუფალი ჭიდაობა), სოსო გოგნაძე (ჭიდაობა „სამბო„).

გაჰყურებს ხვალინდელ დღესა და სწამს, რომ დღევანდელი ბოკვერები ლომებად დაიზრდებიან და კვლავ უამრავი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერება ხარაგაულის სპორტულ ბიოგრაფიაში.

უფლის მადლით მხნეობამ და დღეგრძელობამ უნინამძღვროს თქვენი ცხოვრების მომავალ დღეებს, ბატონო ანზორ!

მერი გიორგიძე

მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ხარაგაულში შეხვედრა გაიმართა

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისა“ და კომპანიის დამხმარე ღონისძიებების (PEM კონსალტის) კონსულტანტებმა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების მუნიციპალიტეტებში საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები დაიწყეს.

PEM კონსალტის კომუნიკაციის ექსპერტებმა, ანანო ასათიანმა, ულრიჰ როთმა და მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, სოფიო აბრამიამ, პირველი გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლებთან გამართეს.

შეხვედრის მიზანს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ სამომავლო გეგმებში საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სპეციალისტების ჩართულობა წარმოადგენდა. დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტი კომპანიის ის კომპონენტია, რომელიც ასრულებს საკონსულტაციო მომსახურებას და ატარებს ტრენინგებს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ორგანიზაციული და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით.

ულრიჰ როთი საფუძვლიანად გაეცნო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების საქმიანობას და დაინტერესდა - რამდენად ექნებათ მათ საშუალება, მომავალში მოაწყონ საჯარო განხილვები და მოახდინონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ნარჩენების გადამუშავების კუთხით. რეგიონებში დიდი როლი დაეკისრებათ ასევე PR სპეციალისტებს, რათა თანაბრად ჩართონ ყველა დაინტერესებული მხარე ახალი სისტემის მართვაში.

PEM კონსალტი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებს დასავლეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებთან მარტის ბოლოს დაასრულებს, ხოლო მაისის თვეში იგეგმება სამუშაო შეხვედრა, რაც საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების გადამზადებას გულისხმობს.

„საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ დაგეგმილ 8-10 რეგიონულ სანიტარულ ნაგავსაყრელს შორის პირველი რეგიონული პოლიგონი ქუთაისში აშენდება. აღნიშნული რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელი ხუთ გადამტვირთავ სადგურთან ერთად იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სავანეთის რეგიონებს მოემსახურება. პროექტი გერმანია-საქართველოს თანამშრომლობის, ევროკავშირის სამეზობლო ინვესტირების ფონდისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით განხორციელდება. ქუთაისის ახალი პოლიგონის მშენებლობის პროექტის ღირებულება 26 მილიონ ევროს შეადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ ქუთაისის ახალ სანიტარულ ნაგავსაყრელში მოხდება შეტანილი ნარჩენის ეფექტიანი დაპრესვა და მისი ნიადაგით გადაფარვა.

„საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“ 2012 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაფუძნდა. კომპანიაში ამჟამად 272 თანამშრომელია დასაქმებული და მის მფლობელობაში 53 მუნიციპალური ნაგავსაყრელი შედის.

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ

24 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა გაიმართა. სხდომაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გასული წლის მუშაობისა და მიმდინარე წელს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის დირექტორმა, შმაგი ხიჯაკაძემ, წარადგინა.

მომხსენებლის განმარტებით, 2016 წელს ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა პროგრამა განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო: მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას, ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას. მოხდა მოსახლეობის ინფორმირება სხვადასხვა დაავადების შესახებ: დიაბეტი, არტერიული წნევა და ინსულტი.

სამედიცინო სერვისებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით გსმ პირებს უფასო გამოკვლევები ჩაუტარდათ. აქცია ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულების მხარდაჭერით განხორციელდა.

პროგრამა ამ ეტაპზე ბაზალეთში, ღელვანში, დიდვაკეში, მარელისსა და წიფაში განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც გამოკვლეულ იქნა 63 გსმ პირი. როგორც შმაგი ხიჯაკაძე განმარტავს, მსგავსი ტიპის აქტივობა მიმდინარე წელსაც იგეგმება.

თამარ მაღრაძე

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ 2017 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐᲗ

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღმზრდელებს პედაგოგის სტატუსი 2017 წლის სექტემბრიდან მიენიჭებათ, ხოლო მათ დამხმარეებს -აღმზრდელის სტატუსი. ამის შესახებ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონპროექტში წერია, რომლის პრეზენტაციაც ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა გამართა.

როგორც კანონპროექტის ავტორები აცხადებენ, აქამდე ერთიანი სამართლებრივი აქტი, რომელიც ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კომპონენტს დაარეგულირებდა, არ არსებობდა, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტებში მცხოვრები პატარები არათანაბარ გარემოში იყვნენ და, ხშირ შემთხვევაში, არა მხოლოდ მოუწესრიგებელ გარემოში, არამედ სავალალო მდგომარეობაშიც უწევდათ ყოფნა.

კანონპროექტის თანახმად, 10-მდე სამთავრობო სტრუქტურა თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას ბაგა-ბაღების გამართულად მუშაობაზე. ამასთან ყველა აღმზრდელ-პედაგოგი ვალდებული იქნება, ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით გადამზადება გაიაროს. კანონპროექტის მიხედვით, ყველა ბაგა-ბაღში უნდა შეიქმნას მშობელთა საკონსულტაციო საბჭოები. ასევე რეგულირებადი იქნება ჯგუფებში ბავშვების რაოდენობაც.

2-3 წლიანთა ბავშვთა ჯგუფში არა უმეტს 25 ბავშვი უნდა იყოს, ხოლო, რაც შეეხება აღმზრდელ-აღსაზრდელის თანაფარდობას, ეს თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1-13-თან.

3-4 წლიან ჯგუფებში უნდა იყოს არა უმეტს 30 ბავშვი – მათი თანაფარდობა პედაგოგებთან 1-15-თან. ყველა ზედა ასაკობრივ ჯგუფშიც თანაფარდობის ანალოგიური სისტემა იმოქმედებს.

კანონპროექტი დაადგენს ბაგა-ბაღების ავტორიზაციის საკითხსაც. თავად კანონი ძალაში 2017 წლის პირველი სექტემბრიდან შევა, ხოლო კანონის ის მუხლი, რომელიც ჯგუფის მოცულობასა და პედაგოგების თანაფარდობას განსაზღვრავს, 2020 წლის პირველი სექტემბრიდან უნდა ამოქმედდეს.

ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ

ᲦᲝᲠᲔᲨᲘᲡ „ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ“ ᲣᲖᲣᲠᲤᲠᲣᲥᲢᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲓᲘᲗ �გᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ

ღორეშის „საზოგადოებრივი ცენტრი,“ შესაძლოა, სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზურფრუქტით) სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 30 წლის ვადით გადაეცეს. ამის შესახებ დეპუტატებმა 20 თებერვალს გამართულ ბიუროს სხდომაზე იმსჯელეს. საკითხი მათ გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, ჯაბა ბერაძემ, გააცნო.

მოგეხსენებათ, რომ იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ ახორციელებს პროგრამას „საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს „საზოგადოებრივი ცენტრები“, რომელთა ერთ-ერთ მთავარ მიზანს მოსახლეობისათვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხიანი სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

პროგრამის ფარგლებში სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ გადაცემულია სოფელ ღორეშაში მდებარე შენობა -ნაგებობის ფართი, რომელზეც განთავსებულია „საზოგადოებრივი ცენტრი“. ამჟამად კი „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ უზურფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდას 30 წლით ითხოვს.

საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას დეპუტატები საკრებულოს მორიგ სხდომაზე მიიღებენ.

ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲐ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობაში ცვლილებებია. ხუნევის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ლენა აბაშიძემ და საღანძილის მაჟორიტარმა დეპუტატმა, დავით კიკნაძემ, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის (თავმჯდომარე მარინე ვეფხვაძე) შემადგენლობა დატოვეს. მოლითის მაჟორიტარი დეპუტატი, მერაბ ტალახაძე, საქმიანობას ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიაში (თავმჯდომარე შალვა ლურსმანაშვილი) წყვეტს. დეპუტატები აქტიურ მუშაობას იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში (თავმჯდომარე მიხეილ გელაშვილი) გეგმავენ. ამავე კომისიაში შევიდა რომან შერგელაშვილიც, რომელმაც საფინანსო-საბიუჯეტო კომისია დატოვა.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა დაიწყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სასკოლო სპორტული ოლიმპიადა დაიწყო. ტურნირის ფარგლებში პირველი შეჯიბრი 20 თებერვალს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში გაიმართა. ერთმანეთს ბადმინტონის თამაშში დაბის N2 და N3 საჯარო სკოლის გოგონათა და ვაჟთა გუნდები დაუპირისპირდნენ.

გოგონათა გუნდში მე-2 საჯარო სკოლამ გაიმარჯვა, ვაჟთა გუნდში კი მე-3 საჯარო სკოლამ, რომლებიც ოლიმპიადის რეგიონალურ ტურში მიიღებენ მონაწილეობას.

შემდეგი თამაში 22 თებერვალს ხელბურთში გაიმართა. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს: ვერტყვიჭალის, ზვარის, ხიდრის, ვახანის, ლაშის, მოლითის, ბორითის, დაბის N2, N3 საჯარო სკოლებისა და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის ვაჟთა გუნდებმა. გამარჯვებული დაბის მე-3 საჯარო

სკოლა გახდა.

სასკოლო ოლიმპიადები ქვეყნის მასშტაბით საქართველოს სპორტის სამინისტროს ინიციატივით იმართება. ტურნირს ხარაგაულში გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და „სპორტის განვითარების ცენტრის“ მხარდაჭერით ახორციელებს.

ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ

ᲖᲐᲣᲠ ᲑᲔᲠᲐᲫᲔ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ

24-25 თებერვალს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გამართულ პეტკო სირაკოვისა და ივან ილიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა 6 მედალი მოიპოვა. ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ხარაგაულელი ზაურ ბერაძე (86 კგ) გახდა. ტურნირზე ვერცხლის მედლები გოგა ძიგუამ (50კგ), მირზა სხულუხიამ (70კგ) და ზურიკო ურთაშვილმა (125კგ) მოიპოვეს. ბრინჯაოს მედლებს ედემი ბოლქვაძე (61კგ) და თორნიკე კვინიკაძე (74კგ) დაეუფლნენ.

ვულოცავთ ზაურს ამ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ!

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲜᲐᲓ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებული უძველესი ტრადიციების გამოსავლენად ა(ა)იპ „ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი" კონკურსს აცხადებს, რომლის მიზანია ჩვენი კუთხისათვის დამახასიათებელი უძველესი ტრადიციების მოძიება, პოპულარიზაცია, დაცვა-შენარჩუნება.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს 2-3 წუთიანი ვიდეო ან ფოტომასალა. საუკეთესო მასალის პრეზენტაცია მოხდება ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით. ასევე მათ უფლება ექნებათ, მუზეუმში გამართულ ყველა გამოფენას და ღონისძიებას დაესწრონ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო მასალა 2017 წლის პირველიდან 28 სექტემბრამდე უნდა წარმოადგინონ. მასალას თან უნდა ერთვოდეს წარმდგენის მოკლე ინფორმაცია. გამარჯვებული ნომინაციები 2017 წლის ოქტომბერში მუზეუმში გამართულ ღონისძიებაზე გამოცხადდება და საზოგადოების წინაშე მოხდება მათი პრეზენტაცია.

საკონკურსო თემატიკა:

- ქართული პოლიფონია;
- მევენახეობა (ვაზის მოვლა, ყურძნის უნიკალური ჯიშები);
- ტრადიციული რეწვის ნიმუშები;
- ქვევრის ღვინის იმერული ტრადიციით დაყენება (თეთრი და შავი ღვინო, არყის გამოხდა);
- ცეკვა - დამახასიათებელი ზემო იმერეთისათვის;
- ზემო იმერული სამზარეულო - დამზადების ტექნოლოგია და კულტურა (ჩურჩხელა, ჩირი, ტყლაპი, ტკბილისკვერი);
- ხალხური საკრავის დამზადების ტრადიციული მეთოდი;
- ხეზე კვეთის ტრადიცია – ორნამენტი ტრადიციულ საცხოვრისსა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებში;
- ქვაზე კვეთა;
- ტყავის დამუშავება - დამზადების ტექნოლოგია;
- ყველის დამზადების ტრადიციული მეთოდი;
- პურის დამზადების ტექნოლოგია;
- მეთუნეობის უძველესი ტრადიცია;
- მეფუტკრეობა;
- ხელსაქმის ნიმუშები (ქსოვა, ქარგვა, კერვა, მატყლის დამუშავება/დართვა);
- იმერეთისათვის დამახასიათებელი კულტურული ჯიშების მოყვანა/დამუშავება;
- ზეპირსიტყვიერების ნიმუშები (სახალხო მთქმელები, ლეგენდები);
- მჭედლობის ნიმუშები (ნალის, ნაჯახისადა თოხის პირები.....).

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ, ა(ა)იპ ,,ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს.„

სამუშაო დღეები: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით

10:00-დან 17:00 საათამდე,

მის: 9 აპრილის ქ. №47

ტელ: 22 14 16

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲓᲐᲐᲙᲚᲓᲐ

(ᲢᲝᲒᲝ ᲮᲘᲯᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ)



ტოგო ხიჯაკაძემ ნაადრევად დატოვა სამზეო და ზეციურ სასუფეველში გადასახლდა. მისნაირები, არა მხოლოდ ახლობლებს, ქვეყანას უკვდებიან. თავად ღირსეულს, სხვისი ღირსების თაყვანისცემა შეეძლო, უნუგეშოს ნუგეშისცემა, მშიერის-დაპურება, დაცემულის აღდგენა ადამიანურ ვალად მიაჩნდა.

წავიდა და, ვინ იცის, რამდენი სიტყვა დარჩა უთქმელი, რამდენი კეთილი საქმე დაუმთავრებელი, რამდენი გული გასათბობი. მისი ამ ქვეყნად არყოფნა გაუსაძლისია ყველასთვის, ვინც მას იცნობდა.

რამდენადაც დიდი იმედი და ნუგეშისმცემელი იყო,იმდენად მოუშუშებელ ტკივილად და მონატრებად იქცა ყველასთვის. ტოგო ისევ უყვართ, ისევ ახსოვთ და ლოცულობენ მისთვის. 2 მარტს, მის დაბადების დღეს, მოწიწებით მივლენ მის საფლავთან, წვიმისოდენა ცრემლებს დაღვრიან, მის სამარადჟამო საუფლოს შეეხმიანებიან, სიმშვიდეს უსურვებენ მის ლამაზ სულს და სწამთ, რომ დავანებული იქნება იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ᲕᲐᲠᲫᲘᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ
ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1500 ცალი
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ; ᲢᲔᲚ.: 595 51 98 12